

თბილისის ავტობუსის პროექტი

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: 47166

დარგი: მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა

შეტყობინების სახე: საჯარო

გარემოსდაცვითი კატეგორია: B

საბჭოს სხდომაზე განხილვის თარიღი: 2016 წლის 25 მაისი

სტატუსი: გაიარა კონცეფციის განხილვის ეტაპი, მიმდინარეობს საბოლოო განხილვა

პროექტის მხარდაჭერის დოკუმენტი (PSD) გამოქვეყნდა: 2016 წლის 28 იანვარს.

პროექტის აღწერა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (შემდგომში „ევრობანკი“) გეგმავს 27 მილიონი ევროს ოდენობის სამთავრობო სესხის გამოყოფას საქართველოსთვის, რომელიც თავის მხრივ ამ თანხას ასესხებს ქალაქ თბილისს („ქალაქი“) შპს. „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ („კომპანია“) სასარგებლოდ - მუნიციპალური კომპანია, რომელიც პასუხისმგებელია ავტობუსებისა და მეტროს მართვაზე თბილისში.

გათვალისწინებულია, რომ პროექტის თანადაფინანსება მოხდება საერთაშორისო დონორის ან დონორების მიერ გამოყოფილი 7 მილიონ ევრომდე გრანტით.

პროექტის მიზნები

პროექტი დააფინანსებს ქალაქის ავტობუსების პარკის განახლებას (175-მდე ახალი, დაბალძირიანი ავტობუსი).

ამასთანავე, პროექტი ხელს შეუწყობს გამჭვირვალე ჩარჩო ხელშეკრულების ჩამოყალიბებას საჯარო სერვისის კონტრაქტის (PSC) მომზადებისა და ხელმოწერის გზით; ასევე დაეხმარება ქალაქს მდგრადი ურბანული მობილურობის გეგმის (SUMP) განვითარების პროცესში სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის კოორდინირებულად მუშაობის ოპტიმიზების მიზნით.

შუალედური შედეგი

პროექტის შუალედური შედეგი იქნება:

- გამჭვირვალე სახელშეკრულებო გარიგებების სისტემის დანერგვა მუნიციპალური მომსახურების მოწოდების კუთხით;
- ტრანსპორტის ინტეგრაციისათვის საჭირო ზომების ხელშეწყობა მდგრადი ურბანული მობილურობის გეგმის (SUMP) საშუალებით;
- გაუმჯობესებული კომერციალიზაცია კორპორატიული განვითარების გზით;
- დასაქმებისა და სათანადო უნარების ტრენინგებზე წვდომის უზრუნველყოფა თანაბრად ქალებისა და მამაკაცებისათვის.

კლიენტი

საქართველოს მთავრობა, ქალაქი და კომპანია.

ევრობანკის დაფინანსება

27 მილიონი ევროს ოდენობის სამთავრობო სესხი საქართველოსთვის თანადაფინანსდება 7 მილიონ ევროს ოდენობის გრანტით, რომელსაც გამოყოფენ საერთაშორისო დონორი ან დონორები. თანხები გადაერიცხება კომპანიას.

პროექტის ღირებულება

39,000,000 ევრო

პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 39 მილიონ ევროს, თანხა მოიცავს თანადაფინანსებას საერთაშორისო დონორის ან დონორების მხრიდან.

პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდება ტექნიკური თანამშრომლობის სამუშაოები პროექტის მომზადებისა და განხორციელების პროცესში მხარდაჭერის მიზნით.

გარემოსდაცვითი ეფექტი

მიენიჭა კატეგორია B (გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი (ESP) 2014). გარემოს დაცვისა და სოციალური გავლენის კუთხით ახალი ავტობუსების შეძენა, რომლებიც კომპრესირებულ ბუნებრივ გაზზე (CNG) იმუშავებენ, ძირითადად, სასარგებლოდ შეფასდა. ნებისმიერი პოტენციურად საზიანო შედეგი, სავარაუდოდ, კონკრეტულ ადგილებთან იქნება დაკავშირებული და მათი მართვა შესაძლებელი იქნება გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) დანერგვის გზით.

პროექტი ხელს შეუწყობს ხელმისაწვდომობისა და მობილურობის ზრდას მომხმარებელთა ყველა ჯგუფისათვის, ასევე ქალაქში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას, საწვავის მოხმარების ეფექტურობის ზრდას და ზოგადი ხარისხის გაუმჯობესებას და ურბანული ტრანსპორტის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის მომატებას. გარემოს დაცვითი და სოციალური შეფასება განხორციელდა ორგანიზაციის მიერ და მოიცავდა კომპანიის არსებული მენეჯმენტის სისტემის, მოწყობილობებისა და ოპერაციების შეფასებას. კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის კუთხით არსებულ ვითარებას დეპოებსა და მომსახურე სათავსოებში, ასევე სამუშაო პირობებს გზებისა და ტრანსპორტის მართვისა და სახიფათო ნარჩენების მართვის სფეროში; ასევე ახალი CNG ავტობუსების შემოყვანის, მათი ექსპლუატაციისა და შესანახ სათავსოებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებს. შეფასებები ასევე მოიცავდა პროექტთან დაკავშირებული გარემოს დაცვის, სოციალური გავლენისა და სარგებელის შეფასებას იმის დასადასტურებლად, რომ ავტობუსების შემოთავაზებული სპეციფიკაციები შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს. დადასტურდა, რომ პროექტის სტრუქტურა EBRD-ის მოთხოვნების მიხედვით ჩამოყალიბდება და გამოვლენილი ხარვეზები მიზანმიმართულად გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) გამოყენებით შეივსება.

ტექნიკური თანამშრომლობა

შემდეგი ტექნიკური თანამშრომლობის (TC) სამუშაოები წარმოადგენს ამ პროექტის ნაწილს:

ხელმოწერამდე:

- **TC 1:** იდენტიფიკაციის კვლევა ავტობუსების სექტორში არსებული სიტუაციის ანალიზისა და პროექტის პოტენციური ხარჯების შეფასების მიზნით. 57, 285 ევრო გამოიყოფა ბანკის რესურსებიდან.
- **TC 2:** მხარდაჭერა ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადების პროცესში CNG ავტობუსების დროული და ეფექტური შესყიდვის მიზნით. 25,000 ევრო E5P ასიგნების სახით EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდიდან (SSF).
- **TC 3:** ხელმოწერამდე შესყიდვების პროცესში კომპანიის მხარდაჭერა, რომ პროცესი EBRD-ის მოთხოვნების მიხედვით წარიმართოს: (i) ტენდერის დოკუმენტაციის მომზადება, (ii) ტენდერების შეფასება და შეფასების ანგარიშის მომზადება და (iii) კონტრაქტის ხელმოწერა. 25,000 ევრო გამოიყოფა E5P ასიგნების სახით აქციონერთა სპეციალური ფონდიდან (SSF).
- **TC 4:** ფინანსური გათვლების მომზადება ქალაქისა და კომპანიის ფინანსური ანალიზის პროცესში ბანკის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით. 20,000 ევრო გამოიყოფა E5P ასიგნების სახით აქციონერთა სპეციალური ფონდიდან (SSF).

ხელმოწერის შემდეგ:

- **TC 5:** თბილისისათვის მდგრადი ურბანული მობილურობის გეგმის განვითარება, რომელშიც შევა ტარიფების შესწავლა, ავტობუსების მარშრუტის რესტრუქტურირება და ავტობუსების შესყიდვისა და ტენდერების მართვის სტრატეგია, მათ შორის ლიზინგის შესაძლებლობის გათვალისწინება. ამ სამუშაოების ხარჯს - სავარაუდოდ 500, 000 ევრომდე - დაფარავს საერთაშორისო დონორი ან აქციონერთა ფონდი.
- **TC 6:** გენდერის საკითხების საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა მოიცავს: (i) კომპანიის საკადრო პოლიტიკისა და ტაქტიკის გადახედვას კონკრეტული საჭიროებების დასადგენად, სადაც ეს რელევანტურია, კომპანიაში გენდერული ბალანსის გასაუმჯობესებლად და კომპანიის მხარდასაჭერად პოლიტიკასა და პრაქტიკაში ამ საკითხების გათვალისწინების კუთხით; (ii) ტრენინგისა და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რის შედეგადაც ქალები შეძლებენ, გახდნენ ავტობუსის მძღოლები, რაც კომპანიაში მათ დასაქმებას შესაძლებლობას გაზრდის და (iii) რეკომენდაციების ჩამოყალიბება გენდერთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინების მიზნით სატრანსპორტო მომსახურების შექმნასა და მიწოდებაში და კომპანიის მხარდაჭერა განხორციელების პროცესში. ამ სამუშაოების სავარაუდო ფასი 200,000 ევროა, რომელიც დაფინანსდება გენდერის საკითხების საკონსულტაციო მომსახურების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, აქციონერთა სპეციალური ფონდის (SSF) მიერ.
- **TC 7:** კორპორატიული განვითარება, კომპეტენციის ამაღლება და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა
 - (i) ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა ოპერაციული და ფინანსური საკითხების გაუმჯობესების გზით ავტობუსების ოპერირების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის საჯარო მომსახურების ხელშეკრულების ხელმოწერა ქალაქსა და კომპანიას შორის,
 - (ii) დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის განხორციელება. სამუშაოების სავარაუდო ხარჯი 280,000 ევრომდეა, შეთავაზების მიხედვით, დაფინანსება განხორციელდება საერთაშორისო დონორის ან აქციონერთა სპეციალური ფონდის მიერ.

კონსულტანტთა შესაძლებლობებთან დაკავშირებით, იმ პროექტებში, რომლებსაც ტექნიკური თანამშრომლობის ფონდები აფინანსებს, იხილეთ კონსულტანტთა შესყიდვები.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ირაკლი ღურჭუმელია

Email: BusTender@ttc.com.ge

<http://ttc.com.ge/>

0112 თბილისი, საქართველო

ვაგზლის მოედანი N2

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების საკითხებზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებთან დაკავშირებით, იხილეთ: [EBRD Procurement](#).

ტელ: +44 20 7338 6794

Email: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

ზოგადი საკითხებისათვის EBRD-ის პროექტების გარშემო, რაც არ უკავშირდება

შესყიდვებს: ტელ: +44 20 7338 7168

Email: projectenquiries@ebrd.com

ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკა (PIP)

ინფორმაციის გასაჯაროების პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელების გზები და ის კონსულტაციები, რომლებსაც ბანკი თავის აქციონერებთან აწარმოებს ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. ([საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი](#)).

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

ევრობანკს დანერგილი აქვს პროექტების გასაჩივრების მექანიზმი, რათა უზრუნველყოს ფიზიკური ან იურიდიული პირების მხრიდან შემოსული საჩივრების დამოუკიდებელად განხილვის შესაძლებლობა. ხსნებული საჩივრები შეიძლება ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებული იმ პროექტებს, რომლებმაც სავარაუდოდ გამოიწვიეს ან შესაძლოა გამოიწვიონ ზიანი.

[პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესები და პროცედურები](#)

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში შემოსული ნებისმიერი საჩივრის ფორმა შევსებული უნდა იყოს [პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესებსა და პროცედურებში](#) გაწერილ განსაზღვრულ ვადებში. თუ გაინტერესებთ რამდენად აკმაყოფილებს საჩივარი ევრობანკის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, დაუკავშირდით პროექტის გასაჩივრების მექანიზმის სამმართველოს (ელ. ფოსტა: pcm@ebrd.com).